ბრძანება:**№44.442218816**
თარიღი:**07/07/2022**

“ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო

მოხელეებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების

შესახებ” ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 ივნისის №44.442217213 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.თ“; „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის, „პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N218 დადგენილების, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისათვის მიკუთვნებული ოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N215 დადგენილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ *:*

1. “ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ” ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 ივნისის №44.442217213 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა/. ბრძანებით დამტკიცებულ დანართს /ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები/ დაემატოს შემდეგი რედაქციის 31-ე პუნქტი:

1. „31. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, ეკოლოგიისა და მყარი ნარჩენების განყოფილების მეორე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) საგანმანათლებლო ხარისხი: ბაკალავრის აკადემიური;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის; საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"; „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „გენდერული თანასწორობის შესახებ"

საქართველოს კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი თავების, „ბინათმესაკუთრეთა შესახებ" საქართველოს კანონის, „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვალი №1–1/251 ბრძანების, „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და მოქმედების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებისა და „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილების ცოდნა;

გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Powerpoint) კარგი ცოდნა;

დ) სამუშაო გამოცდილება: ინფრასტრუქტურის ან/და სამშენებლო ან/და ეკოლოგიის ან/და მყარი ნარჩენების სფეროში მუშაობის არანაკლებ 1 (ერთი) წლიანი გამოცდილება;

ე) სასურველია – უცხო ენების (ინგლისური ან რუსული ან გერმანული) B2 დონეზე ცოდნა".

ბ/. ბრძანებით დამტკიცებულ დანართს /ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები/ დაემატოს შემდეგი რედაქციის 32-ე პუნქტი:

„32. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, საგანგებო სიტუაციების, რისკების პრევენციის მართვისა და შრომის უსაფრთხოების განყოფილების მეორე კატეგორის უმცროსი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) საგანმანათლებლო ხარისხი: პროფესიული განათლების დონე;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის; საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"; „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის; „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის, „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი

ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვალი №1–1/251 ბრძანების, „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და მოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებისა და „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილების ცოდნა;

გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Powerpoint) კარგი ცოდნა;

დ) სასურველია – უცხო ენების (ინგლისური ან რუსული ან გერმანული) B2 დონეზე ცოდნა“.

გ/. ბრძანებით დამტკიცებულ დანართს /ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები/ დაემატოს შემდეგი რედაქციის 33-ე პუნქტი:

2. „33. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეული ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) საგანმანათლებლო ხარისხი: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ბ) საქართველოს კონსტიტუციის; საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ანონის; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის, „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის; „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი თავების, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებისა და ,„საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილების ცოდნა;

გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Powerpoint)კარგი ცოდნა;

დ) სამუშაო გამოცდილება: მუშაობის არანაკლებ 1(ერთი) წლიანი გამოცდილება;

ე) სასურველია – უცხო ენების (ინგლისური ან რუსული ან გერმანული) B2 დონეზე

ცოდნა“.

2. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, იუზა უგულავამ.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი